პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
26 ივნისი
№ 148 (18090)
ფასი 2 კაპ.

გულითადი შეხვედრები

საქართველოს დღეები მოსკოვში

24 ივნისს საქართველოს სსრ დელეგაცია მიიღეს პარტიის მოსკოვის ძერჟინსკის რაიონულ კომიტეტში. სტუმრებს მიესალმა რაკომის პირველი მდივანი ნ. კომაროვი. „1967 წელს — თქვა მან, — ძერჟინსკის რაიონს დიდი პატივი ხვდა წილად. მაშინ პირველად მეგობრების და შეფების რანგში მივიღეთ და ვუმასპინძლეთ საქართველოს სსრ დელეგაციას. დღეს ეს მეგობრობა ტრადიციული გახდა.

ახლა მეუხერხულება წარმოვთქვა სიტყვა — სტუმარი. გულით მოგესალმებით ჩვენი რაიონის 137-ათასიანი მშრომელის სახელით. თქვენს რესპუბლიკას და ჩვენი რაიონის ყველა მშრომელს ვუოლცავ საერთო დიდ იუბილეს და დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის დაარსების მე-60 წლისთავს.

ძერჟინსკის რაიონი მოსკოვის შუაგულში მდებარეობს. აქ თავმოყრილი 29 სამრეწველო საწარმო წელიწადში 230 მილიონ მანეთს აძლევს დედასამშობლოს. ჩვენს საწარმოში ფართოდ დავნერგეთ როსტოველთა და გორკელთა გამოცდილება — ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ და წუნის გარეშე. გასული წლის 30 ოქტომბერს წარმატებით შევასრულეთ ხუთწლედის გეგმა. პროდუქციის ზრდის ტემპმა 29 პროცენტს გადაჯარბა. ჩვენს რაიონშია სახელგანთქმული ქარხანა „კალიბრი“, რომლის ნაწარმი 50 ქვეყანაში იგზავნება. აქვეა ქარხანა „წყალხელსაწყო“, სხვა მექანიკური ქარხნები და ფაბრიკები. ქარხნების საკონსტრუქტორო ბიუროებს მეშიდრო კავშირი აქვთ დაყარებული თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ზესტაფონის და თქვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების მსგავლ საწარმოებთან. ჩვენ ვუწევდით შეფობას თბილისელ მეტრომშენებლებს და გვიხარია, რომ მოსკოველთა დახმარებით და ერთიანი შრომით თბილისის მეტრო ერთ-ერთი ულამაზესი და მისაბაძია საბჭოთა კავშირში.

ჩვენი რაიონის ტერიტორიაზეა კულტურული ცენტრები: საბჭოთა არმიის თეატრი, მხატვარ ვასნეცოვის მუზეუმი, კოსმონავტებისა და აკადემიკოს კოროლიოვის მუზეუმი, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მუზეუმი, მთელ მსოფლიოში უნიკალური დუროვის სახელობის ცხოველების თეატრი და მაიაკოვსკის სახელობის თეატრის ფილიალი. დღევანდელი შეხვედრა დიდხანს დარჩება მოსკოველთა გულში. მომავალ წარმატებებს და გამარჯვებებს გისურვებთ მეგობრებო“.

სალამურ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს დელეგაციის მეთაურმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. ენუქიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ძერჟინსკის რაიონის წარმომადგენლებს გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის, გააცნო და წარუდგინა მათ საქართველოს დელეგაციის წევრები და დამსწრეთ მოუთხრო იმ დიდ ძერგსა და გამარჯვებებზე, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ხდება.

ამ გულთბილი შეხვედრის შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ ორგზის ლენინის ორდენოსანს, მოსკოვის მეტროპოლიტენის ავტოკოლონის უფროსს ნ. ზაიცევს. მან გვითხრა: „ქართველებთან ერთად ოთხი წელი ვიბრძოდი ომის ქარცეცხლიან გზებზე. ყველაზე მშვიდობიანი პროფესია წამართვა მტერმა — 1931 წლიდან მეტროსადგურებს ვაშენებდი. ვმუშაობდი იმ ქართველ მეგობრებთან, რომლებმაც ფასდაუდებელი ამაგი დადეს მოსკოვის მეტროს მშენებლობას. ესენი არიან ნ. ესაკია, ა. გოცირიძე, ნ. დანელია და სხვები. დღეს თითქმის ყოველდღიური შეხვედრები და საქმიანი კონტაქტები გვაქვს [illegible] მეტროპოლიტენის მშენებლებთან. ჩვენს ზვიმს და სიხარულს გაუმარჯოს. სულ ასე ხელიხელჩაკიდებულებს გვეკლოს ახალი გამარჯვებებისაკენ“.

საქართველოს დელეგაციის ერთი ჯგუფი ეწვია ქარხანა „წყალხელსაწყოს“ კოლექტივს. ეს საწარმო სახელგანთქმულია მთელ ჩვენს ქვეყანაში. სტუმრებს მიესალმა და ქარხნის შესახებ ესაუბრა მისი დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ლ. კოგანი: „ჩვენი ქარხნის პროდუქციას, — თქვა მან, — კარგად იცნობენ მთელ საბჭოეთში და მის ფარგლებს გარეთ. ვუშვებთ უნიკალურ ხელსაწყოებს და დანადგარებს წყალგამყვანი და საწმენდი სისტემისათვის. ჩვენს კოლექტივში წარმატებით მრომობს და იღვწის თქვენი თანამემამულე რ. კალაძე. იგი 1957 წელს მოვიდა ქარხანაში. დღეს რ. კალაძე ერთ-ერთი წამყვანი ინჟინერ-კონსტრუქტორია. ჩვენი ქარხნის კოლექტივის სახელით ყველა ქართველ მუშას, საქართველოს მშრომელებს, თქვენი დელეგაციის ყველა წევრს ვუოლცავთ დიდი ზეიმის დღეების გაგრძელებას მოსკოვის მიწა-წყალზე“. შემდეგ ქარხნის კლუბის სცენაზე გაიმართა კონცერტი ქართველ მსახიობთა მონაწილეობით.

საქართველოს დელეგაციის მეორე ჯგუფი ეწვია ქარხანა „კალიბრის“ მუშებს. უზარმაზარ საავტომატო საამქროში მთელი კედლის გასწვრივ გაჭიმულია პლაკატი წარწერით: „ძმური სალამი ოთხგზის ორდენოსან საბჭოთა საქართველოს დელეგაციას“. ახსნა-განმარტებას იძლევიან ქარხნის დირექტორი ი. ბუხვალოვი და საამქროს უფროსი ა. ბჭელნოკოვა. ქარხნის ხარისხისინშენაინი და საწარმოს ღირებიანი პროდუქცია საზღვარგარეთის 50 ქვეყანაში იგზავნება.

საწარმოში უშვებენ და ამზადებენ ელექტრონულ ბლოკებს, საზომი აპარატურის და ოპტიკის უზუსტეს ხელსაწყოებს. ჩვენი დელეგაციის წევრები ჩერდებიან ქარხნის ახალგაზრდა მუშის კომკავშირელ ს. მუსტაფინის ჩარხთან. მის მიერ დამზადებული მიკრონის მეასედი ნაწილაკები ადამიანის თმის ღერზე ორმოცჯერ უფრო წვრილია. ეს უზუსტესი ნაწილაკი ელექტრონული გამომთვლელი აპარატურის აუცილებელი დეტალია. „ყველა მოსკოველი მუშის, კომკავშირელის სახელით, — გვითხრა მუსტაფინამ, — მხურვალედ მივესალმები საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელოვან წარმომადგენლებს“. საქართველოს დელეგაციის წევრებმა მუსტაფინას ქართული ყვავილების თაიგული და საიუბილეო სამკერდე ნიშანი გადასცეს. ყვავილები და საიუბილეო სამკერდე ნიშნები გადაეცათ ქარხნის სხვა მუშებსაც.

საზეიმო შეხვედრის შემდეგ მოსკოველებს გულთბილი შეხვედრისათვის მხურვალე მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გაგგემ ნ. ჯანბერიძემ. აქვე საავტომატო საამქროში, ქართული ხელოვნების მუზეაკუნსა გამართეს სახელდახელო კონცერტი.

საღამოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე ღია სცენაზე მოსკოველთათვის და მოსკოვის მრავალრიცხოვანი სტუმრებისათვის გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი მსახიობები.

დ. მაჭავარიანი,
ვ. მარდალეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეციალური კორ.

დავიცვათ მშვიდობა!

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო მიმართვა „მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებს“.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიაზე მიმართვის მიღების შესახებ წინადადება წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. სესიაზე მიმართვა ასევე ხელმოწერილ იქნა ამ საბჭოთა კავშირის ჯილდოები გადაცემისას ამ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგებო!

სანამ ჯილდოებს გადმოგცემდეთ, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ყოველ თქვენგანზე, რომელი გამოც დღეანდელ ზეიმზე შევიკრიბეთ.

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაიბაკოვს მიეხიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მას კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც, იცნობენ როგორც გამოცდილ სამეფურნეო მუშაკს, რომელიც სახელმწიფოებრივად აზროვნებს და მოქმედებს.

აი უკვე მრავალი წელია ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე მეთაურობს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — ეკონომიკის მართვის მთელი სისტემის საკვანძო რგოლს. კარგი გეგმა, სადაც დასახული მიზნები შესაბამისი რესურსებით არის განმტკიცებული, სადაც პრიორიტეტი ენიჭება მეურნეობრიობის ყველაზე თანამედროვე და ეკონომიურ მეთოდებს, უკვე საქმის ნახევარია.

ჩვენი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ერთ დგელზე არა დგას. იგი ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ვითარდება. მაგრამ ბევრის შემძლე ბევრიც მოეკითხება. ეს უწინარეს ყოველისა, ეხება მეურნეობის ყველა დარგის ჰარმონიულ განვითარებას.

უწინარესად სწორედ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი აგებს პასუხს ეკონომიკის შეწონასწორებისათვის, საგეგმო დისციპლინისათვის. სწორედ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი უნდა იდგეს მუდამ ყოველ უწყებრივ ტენდენციათა მაღლა.

თქვენ კარგად გესმით, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძევ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ამ ამოცანების სიმაღლეზე იყოს.

კონსტანტინე ნიკიტას ძე ბელიაკს აგრეთვე მიეხიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი ხელმძღვანელობს ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა სამინისტროს — მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს.

ამ სამინისტროს შექმნის საჭიროება თვით ცხოვრებამ გვიკარნახა. მან უკვე დაიკავა შესაბამისი ადგილი ქვეყნის მთელ აგროსამრეწველო კომპლექსში. და აქ გარკვეული გამოვლინდა კონსტანტინე ნიკიტას ძის პირადი ინიციატივა და ენერგია.

საჭიროა ითქვას, რომ მანქანათმშენებლები უშალოდ უნდა მონაწილეობდნენ სასურსათო პრობლემის — მეთერთმეტე ხუთწლედის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ ამ ახალ სამინისტროს მუდამ ახალითვდეს ახლისადმი, ტექნიკურად ყველაზე მოწინავისადმი სწრაფვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს გრიგოლ ვასილის ძე რომანოვს ლენინის ორდენი მიეჩინა.

პიტერელები, ლენინგრადელები, მუდამ იყვნენ რევოლუციისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ეს დღესაც ასეა.

ყველაზე მეტად უნდა ვაფასებდეთ საგეგმო დავალებათა შესრულებას. ლენინგრადელები კი ყოველ წელიწადს ასრულებენ მათ. ასრულებენ იმიტომ, რომ მათთვის დამახასიათებელია მუდმივი სწრაფვა წარმოებისა და მართვის უკეთ ორგანიზაციისადმი, მომთხოვნელობა და ყურადღება კადრებისადმი, ორიენტაცია საბოლოო შედეგებზე. თანაც არც პროდუქციის ხარისხს ვვიწყებენ.

ერთი სიტყვით, ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია შემოქმედებითად მუშაობს, და ამაში სულსა და გულს, ორგანიზატორულ ნიჭს აქსოვს გრიგოლ ვასილის ძე რომანოვი, რომელიც აი უკვე ათ წელზე მეტია სოლქო კომიტეტის პირველი მდივანია.

ვსარგებლობ შემთხვევით და ლენინგრადელებს მინდა ვუსურვო, რომ კვლავაც უფრთხილდებოდნენ თავიანთ მაღალ მარკას ყველაფერში — წარმოებაში, კულტურაში, ადამიანების ურთიერთობაში.

ლენინის ორდენი უნდა გადაეცეს ალექსი მიხეილის ძე შკოლნიკოვს — სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს.

ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, მაგრამ პასუხისმგებლობა მ. პარტიული, ლენინური გაგებ ყოველთვის კონტროლს მეზობლობს.

ჩვენი კონტროლი, მას კი სახალხო კონტროლიორთა ათმილიონანი არმია შეადგენს, გამსჭვალულია შეურიგებლობით ყოველგვარი ბიროკრატიზმისადმი და ნაკლოვანებებისადმი.

ეს მოუსვენარი სამუშაოა. პარტიულად, ლენინურად რომ გავაკონტროლოთ, უნდა „გავამახვილოთ კუთხეები“, არ გვეშინოდეს ურთიერთობის გაფუჭებისა, ვსვამდეთ საკითხებს საჯაროდ და გაბედულად, გულდასმით ვითვალისწინებდეთ ქვემოდან მომავალ ყველა სიგნალს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი სწორედ ასეთ მუშაობას უსახავს ორიენტირად სახალხო კონტროლის ორგანოებსა და მათ ხელმძღვანელს ალექსი მიხეილის ძე შკოლნიკოვს.

დღეს ლენინის ორდენით ჯილდოვდება ბორის ნიკოლოზის ძე პასტუხოვი — ჩვენი კომკავშირის ენერგიული ხელმძღვანელი.

ჩვენს ახალგაზრდობაზე ყოველთვის გულითადად გინდა ილაპარაკო კაცმა, იგი ამის ღირსია, საბჭოთა ქალაშვილები და ჰაბუკები ჰკიდებენ ხელს სრულიად სხვადასხვაგვარ, ჩვენი საზოგადოებისათვის საჭირო საქმეებს. ბევრ მათგანს შესწევს უნარი თითქოსდა მცირედში დაინახოს დიდი, თითქოსდა პირადში — საზოგადოს, საყოველთაო-სახალხოს ნაწილი. ეს იმიტომ ხდება, რომ გვეზრდება მაღალიდეური, კულტურული, ახლის კარგი გრძნობის მქონე ახალგაზრდა ცვლა.

კომუნისტური შენებლობა არ ნახულად ახალი საქმეა.

იგი ჩვენს ახალგაზრდობას უკიდეგანო ასპარეზს უქმნის მოღვაწეობისათვის. და ჩვენც, რა თქმა უნდა, გვიხარებს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის შესრულებისათვის დაწყებული მუშაობის პირველი თვეებიდანვე მასში აქტიურად ჩაება კომკავშირი, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტი ბორის ნიკოლოზის ძე პასტუხოვის მეთაურობით.

ძვირფასო ამხანაგებო, მიიღეთ ჩემი უგულითადესი მოლოცვა. ახალ წარმატებებს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ.

● ●

დაჯილდოებულებმა კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა სახელმწიფოს, პირადად ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს გულითადი მადლობა გადაუხადეს მათი საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის. მათ აღთქვეს, რომ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ერთგულად ემსახურებიან საერთო-სახალხო საქმეს — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

ჯილდოების გადაცემისას დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბ. გიორგაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი და სხვა ამხანაგები.

დამსწრეთ გულითადად მიუღიათ დაჯილდოებულთ, უსურვეს მათ შემდგომი წარმატებანი სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საკდესი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საბჭოთა მილიციის მუშაკებს



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით გულითადად ულოცავენ შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას სახელოვან იუბილეს —საქართველოს საბჭოთა მილიციის მე-60 წლისთავს.

საქართველოს საბჭოთა მილიცია მებრძოლი და სახელოვანი რაზმია მუშურ-გლეხური მილიციისა, რომელიც ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა და ოქტომბრის რევოლუციური ბრძოლების ქარ-ცეცხლში გამოიწრთო. მისი ისტორია განუყოფელია ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულისა და აწმყოსაგან. იგი საიმედოდ იცავდა საბჭოთა ხალხის რევოლუციურ მონაპოვრებს, მწვავე კლასობრივი ბრძოლის მძიმე პირობებში ასრულებდა კონტრრევოლუციური დაჯგუფებების ნამთების ლიკვიდაციებს, რთულ ამოცანას, დაუნდობლად ებრძოდა ბანდიტიზმს, საბოტაჟს და კულაკობას.

დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში საქართველოს საბჭოთა მილიციის მუშაკები თავდადებით უზრუნველყოფდნენ საბჭოთა არმიის ზურგის საიმედო დაცვას, იბრძოდნენ დივერსიული რაზმების წინააღმდეგ, სამარადისო დიდებით შეიმოსნენ გმირები —საქართველოს მილიციის აღზრდილები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლში შობილი, დიდი სამამულო ომის ბრძოლებში გამოწრთობილი საქართველოს საბჭოთა მილიციის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები კვლავ გრძელდება მართლწესრიგის ჯარისკაცთა ომსშემდგომ და დღევანდელ საქმეებში.

გასული ათწლეულების მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა საბჭოთა მილიციის საქმიანობაში. უფრო პასუხსაგები გახდა მათი ამოცანები და ფუნქციები, სრულყოფილი — ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის სისტემა, გამდიდრდა მუშაობის ფორმები და მეთოდები, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე გაიზარდა თანამშრომელთა პროფესიული ოსტატობა, რომლებიც გვიჩვენებენ პარტიული და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მაგალითს, ღირსეულად განაგრძობენ საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, ძერჟინსკელთა გმირულ ტრადიციებს. კომუნისტური პარტიის, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით . მილიციის მუშაკებს თავიანთ ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, საიმედოდ იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს, საზოგადოებრივ წესრიგს, საბჭოთა ადამიანების კონსტიტუციურ უფლებებს, აღმშენებლობის შრომას, ცხოვრებასა და დასვენებას.

საბჭოთა მილიციის ძალაა მისი უმჭიდროესი კავშირი ხალხთან, საზოგადოებრიობა სთან, რომ მას ყოველდღიურად ხელმძღვანელობს და მის საქმიანობას ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

დიდია პასუხისმგებლობა, რომელიც პარტიამ და ხალხმა დააკისრა შინაგან საქმეთა ორგანოებს, საბჭოთა მილიციას. დიდი პატივია იყო საბჭოთა მილიციის რიგებში, ეკუთვნოდე შინაგან საქმეთა ორგანოების რაზმს, მაგრამ დიდია პასუხისმგებლობაც დავალებული საქმისათვის. დიდი სახელმწიფო ძალაუფლებით აღჭურვილნი, თქვენ აქტიურად მონაწილეობთ რესპუბლიკის სოციალისტურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფაში, ახალი ადამიანისათვის ბრძოლაში. თქვენ ყოველთვის საბრძოლო სგუშაგზე, სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ადამიანების ინტერესების სადარაჯოზე დგახართ.

ყველანი ვართ მოწმენი იმ დიდი პოზიტიური ცვლილებებისა, რომლებიც რესპუბლიკაში მოხდა უკანასკნელ წლებში, იმ უდიდესი მუშაობისა, რომელსაც ჩვენში ეწევიან თბილისის პარტორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ისტორიულ დადგენილების, ჰაერტის შემდგომ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლო გაეჩაღებინა პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ბევრი რამ გაკეთდა საამისოდ, რომ რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში პოზიტიური პროცესები დამკვიდრებულიყო“.

ამ წარმატებაში დიდია თქვენი როული, კეთილშობილი შრომის წვლილიც. რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების, ეკრძოდ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და ქვეგანაყოფების საქმიანობაში უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები შეიმჩნევა, იზრდება მათი საზოგადოებრივი ავტორიტეტი. ეს აღნიშნული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ, ასრულებენ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს საბჭოთა მილიციის მუშაკები მშრომელებთან მჭიდრო თანამშრომლობით კვლავაც იბრძოლებენ მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევების აღკვეთის თაობაზე პარტიის მაღალი საპროგრამო მოთხოვნების განხორციელებისათვის, თვალსაჩინოვით გაუფრთხილდებიან და ამრავლებენ ფ. ე. ძერჟინსკისა და საბჭოთა ჩეკისტების უფროსი თაობების სახელოვან ტრადიციებს.

დიდება საქართველოს საბჭოთა მილიციას — სოციალისტური მართლწესრიგის საიმედო გუშაგს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას —ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი;
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება 1981 წლის 25 ივნისისათვის (ტონობით)

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	1980 წელს სეზონის დამთავრებისთვის	1981 წელს სეზონის დაწყებიდან ფოთლის	+ —
აფხაზეთის ასსრ	24751	25173	+ 422
აფხაზეთის ასსრ	37353	31057	— 6296
მახარაძის	39214	31376	— 7838
ჩოხატაურის	5720	5231	— 489
ლანჩხუთის	10633	9786	— 847
სამტრედიის	1365	1284	— 81
წულუკიძის	4033	4032	— 1
ქ. წყალტუბოს ზონა	4885	4179	— 706
ქ. ტყიბულის ზონა	4483	3105	— 1378
ცხაკაიას	5125	4468	— 657
აბაშის	381	399	+ 18
ვანეკაძორის	10100	8530	— 1570
ზუგდიდის	24158	20808	— 3350
ფალეფაჯიხის	11580	9469	— 2111
ჩხოროწყუს	9319	8524	— 795
ხობის	4341	4307	— 34
თერჯოლის	568	471	— 97
ქ. ბიათურის ზონა	504	482	— 22
ვანის	468	433	— 35
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	198976	173113	—25863

საქართველოს საბჭოთა მილიციის 60 წელი

თავიანთ დღესასწაულს — საქართველოს საბჭოთა მილიციის 60 წლისთავის საზეიმო განწყობილებითა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში სასიამოვნო შედეგებით ეგებებიან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები. ამ სურათზეც ის მოწინავეებია გამოსახული, რომლებმაც ხალხის ნდობა და პატივისცემა დაიმსახურეს. სურათზე: პირველ რიგში (მარცხნიდან): კაპიტნები ო. დვალიშვილი (თბილისი) და ბ. ქურდაძე (ბაშური), უფროსი ლეიტენანტი ბ. ეიფიაშვილი (წითელი წყარო), კაპიტანი კ. მუსაევი (დმანისი), უფროსი ლეიტენანტი ა. ციხისელი (ხაჩხერე), პოდპოლკოვნიკი ბ. ხალინაძე, (ხოხუმი) მეორე რიგში (მარცხნიდან): ლეიტენანტი მ. ფარაბაძე, (ქუთაისი), კაპიტანი ვ. ლავროვი, (ხოხუმი), რიგითი ჯ. შამანაძე (ბათუმი), უფროსი ლეიტენანტები რ. პაიკაძე (თბილისი) და რ. მეტრეველი (ონი).

ნ. კილაძის ფოტო.

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამუშაო ვიზიტად

25 ივნისს მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა სოციალისტური სახალხო ლიბიის არაბთა ჯამაჰირიის რევოლუციური ხელმძღვანელობის წევრი ა. ს. ჯელუდი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ПРАВДА 25 ივნისის მოწინავე

საქართველოს საბჭოთა მილიციის 60 წელი

ამ ნომერში ასევე ეკითხეთ: „ბრძოლა ბანდიტიზმის“, „ბანდიტიზმი ბოლოს“, „ბანდიტიზმი ბოლოს“, „ბანდიტიზმი ბოლოს

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საჭირო წანამძღვრები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემის გადაჭრისათვის — ბინაზე მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც კომუნისტური საზოგადოების აშენების ლენინურ იდეებს ახორციელებს და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების კურსს ადგას, თანამიმდევრულად ასრულებს კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ საბინაო მშენებლობის პროგრამას.

სახელმწიფო გეგმების საფუძველზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარების სწრაფი ტემპი, ღონისძიებები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობის, საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის გაძლიერებისა და ადგილობრივ საბჭოთა დეპუტატთა ბინათმოწყობილი ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით, აგრეთვე ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის სიმცირე.

მუხლი 2. საბჭოთა საბინაო კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა საბინაო კანონმდებლობის ამოცანებს შეადგენს საბინაო ურთიერთობის მოწესრიგება სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული სსრ კავშირის მოქალაქეთა ბინის უფლების, საბინაო ფონდის სათანადო გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე საბინაო ურთიერთობის დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 3. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობა

სსრ კავშირში საბინაო ურთიერთობას აწესრიგებს ეს საფუძვლები და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის საბინაო კანონმდებლობის სხვა აქტები, საბინაო კოდექსები და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის სხვა აქტები.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 4. საბინაო ფონდი

სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე სხვა ნაგებობებში მდებარე საცხოვრებელი სადგომები ქმნის საბინაო ფონდს.

საბინაო ფონდში შედის:

სახელმწიფოს კუთვნილი საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობებში არსებული საცხოვრებელი სადგომები (სახელმწიფოს საბინაო ფონდი);

კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილი საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობებში არსებული საცხოვრებელი სადგომები (საზოგადოებრივი საბინაო ფონდი);

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების კუთვნილი საცხოვრებელი სახლები (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდი);

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები (ინდივიდუალური საბინაო ფონდი).

სახელმწიფო საბინაო ფონდი არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში (ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდი) და სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გამგებლობაში (საუწყებო საბინაო ფონდი). ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში არსებული საუწყებო საბინაო ფონდის სახლები თანდათან უნდა გადაეცეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში იმ წესით და ვადაში, რომელსაც განსაზღვრავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

საბინაო ფონდში შედის აგრეთვე სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო კოოპერაციული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილი საცხოვრებელი სახლები. ამ სახლების მიმართ გამოიყენება წესები, რომლებიც ამ საფუძვლებით არის დადგენილი საზოგადოებრივი საცხოვრებელი ფონდისათვის.

საცხოვრებელ სახლებში არსებული არასაცხოვრებელი სათავსები, რომლებიც სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და არასამრეწველო ხასიათის სხვა საჭიროებისათვის არის განკუთვნილი, საბინაო ფონდში არ შედის.

მუხლი 5. საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების დანიშნულება

საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები განკუთვნილია მოქალაქეთა მუდმივი ბინადრობისათვის, აგრეთვე დადგენილი წესით სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომად და საერთო საცხოვრებლად გამოყენებისათვის. საცხოვრებელ სახლებში არსებული სადგომების სამრეწველო ხასიათის საჭიროებებისათვის მიცემა აკრძალულია.

მუხლი 6. საბინაო ფონდიდან საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების ამოღება

პერიოდულად, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილ ვადაში, წარმოებს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლების გამოკვლევა. საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლები და სადგომები გადაკეთდება სხვა მიზნით გამოყენებისათვის ან ასეთი სახლები ინგრევა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, რაიონული (საოლქო, დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკებში), საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებლად ვარგისი საცხოვრებელი სახლებისა და ასეთ სახლებში არსებული საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებელ სადგომებად გადაყვანა, როგორც წესი, არ დაიშვება. გამონაკლის შემთხვევებში საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელ სადგომების არასაცხოვრებელ სადგომებად გადაყვანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ორგანოების გადაწყვეტილებით. საუწყებო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებელ სადგომებად გადაყვანა წარმოებს შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალური ორგანოების წინადადებებით.

კოლმეურნეობების კუთვნილი საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების არასაცხოვრებელ სადგომებად გადაყვანა ხორციელდება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. მოქალაქეთა საბინაო უფლებანი და მოვალეობანი

სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ დადგენილი წესით მიიღონ საცხოვრებელი სადგომები სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში.

საცხოვრებელი სახლები სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში მოქალაქეებს ეძლევათ უვადო სარგებლობისათვის.

მოქალაქეებს უფლება აქვთ პირად საკუთრებაში ჰქონდეთ საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

არ შეიძლება ვისიმე გამოსახლება დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან ან საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, თუ არა კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე და დადგენილი წესით.

მოქალაქენი ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ სახლს, სადაც ისინი ცხოვრობენ, გამოიყენონ საცხოვრებელი სადგომი მისი დანიშნულების შესაბამისად, დაიცვან საცხოვრებელი სადგომებთან სარგებლობის წესები და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, მომჭირნედ ხარჯონ წყალი, გაზი, ელექტრული და სითბური ენერგია.

მოქალაქეებს არ შეუძლიათ საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი სადგომები გამოიყენონ პირადი გამორჩენის, არაშრომითი შემოსავლის მიღების მიზნით და სხვა ანგარებითი მიზნებისათვის, აგრეთვე საზოგადოების ინტერესების საზიანოდ.

მუხლი 8. სსრ კავშირის კომპეტენცია საბინაო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

საბინაო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება:

1) საბინაო ურთიერთობის საკანონმდებლო მოწესრიგების ერთიანობის უზრუნველყოფა;

2) საკავშირო დაქვემდებარების საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობა, საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საბინაო მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობა;

3) საბინაო მეურნეობის სახელმწიფო მართვის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ზოგადი საწყისების დადგენა;

4) საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საგეგმო დავალებათა დაწესება მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიხედვით;

5) ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება საბინაო ფონდის რემონტის დარგში;

6) საბინაო ფონდის ექსპლოატაციისა და რემონტისათვის საფინანსო და მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმატივების დაწესება მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიხედვით;

7) საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის ერთიანი წესის დადგენა;

8) იმ მოქალაქეთა აღრიცხვის, საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სადგომებით სარგებლობის ძირითადი წესების დადგენა, ვისაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროება;

9) ბინის ქირის ოდენობისა და საცხოვრებელი სადგომების და კომუნალური მომსახურების გადასახდელის შეღავათის დაწესება;

10) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი წესების დადგენა;

11) სახელმწიფო კონტროლი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი და მისი განხორციელების წესის დადგენა;

12) საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგის სხვა საერთოსაკავშირო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად.

მუხლი 9. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია საბინაო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას საბინაო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ განეკუთვნება:

1) საბინაო ურთიერთობის საკანონმდებლო რეგულირება რესპუბლიკაში;

2) საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობა, ამ მეურნეობის სახელმწიფო მართვის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა;

3) რესპუბლიკაში საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საგეგმო დავალებათა დამტკიცება;

4) რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის განხორციელება;

5) იმ მოქალაქეთა აღრიცხვის, საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და ამ სადგომებით სარგებლობის წესის დადგენა, ვისაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროება;

6) ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის შეტანის წესისა და ვადების დადგენა;

7) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის, მათი წევრების უფლებებისა და მოვალეობების დადგენა;

8) საცხოვრებელი სახლების ტექნიკური ექსპლოატაციის წესებისა და ნორმების და სახლისპირა ტერიტორიების სარგებლობის წესის დადგენა;

9) სახელმწიფო კონტროლის განხორციელება საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი;

10) საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგის სხვა საკითხთა გადაწყვეტა, თუ ისინი არ განეკუთვნება სსრ კავშირის კომპეტენციას.

კარი II.
საბინაო ფონდის მართვა

მუხლი 10. სახელმწიფო მართვა საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგში

სახელმწიფო მართვას საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დარგში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდის მართვის განმახორციელებელი ორგანოები

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის მართვას ახორციელებენ მათი აღმასრულებელი კომიტეტები და მართვის ორგანოები, რომლებსაც ისინი ქმნიან.

საუწყებო საბინაო ფონდის მართვას ახორციელებენ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები.

საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვას ახორციელებენ კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების მართვის ორგანოები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოები თავიანთი წესდებების (დებულებების) შესაბამისად.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფონდის მართვას ახორციელებენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მართვის ორგანოები თავიანთი წესდებების შესაბამისად.

მუხლი 12. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და მის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში

პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად, აგრეთვე მოქალაქენი მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და მისი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში.

იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, საცხოვრებელი ფართობის მიღებაზე რიგითობის დადგენა, აგრეთვე მისი განაწილება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლით და საჯაროობის დაცვით.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირები მოვალენი არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისას.

მუხლი 13. საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციები

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის ექსპლოატაციისათვის იქმნება საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა ხორციელდება სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საბინაო ფონდის დაცვა-შენახვას და მის სათანადო გამოყენებას, მოქალაქეთა მომსახურებას მაღალ დონეს, აგრეთვე კონტროლს უწევენ მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და სახლისპირა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესების დაცვას.

საცხოვრებელი სახლის ექსპლოატაცია შეუძლია მხოლოდ ერთ საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციას. თუ საუწყებო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლების ექსპლოატაციისათვის არ შეიძლება შეიქმნას საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაცია, სახლების ექსპლოატაციას უშუალოდ ახორციელებს შესაბამისი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია.

ტიპობრივ დებულებას საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციის შესახებ ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ან სსრ კავშირის სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი, უწყება.

მუხლი. 14. გამშენებელთა მიერ ახლად აშენებულ სახლებში შესასახლებლად საცხოვრებელი ფართობის ნაწილის გადაცემა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს განსაზღვროს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ახლად აშენებულ სახლებში შესასახლებლად გამშენებელთა მიერ საცხოვრებელი ფართობის ნაწილის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის გადაცემის საფუძვლები და პირობები, აგრეთვე გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის ოდენობა.

მუხლი 15. საცხოვრებელი ფართობის განაწილება წილობრივი მონაწილეობის წესით გადაცემული სახლრების ხარჯზე აშენებულ სახლებში

წილობრივი მონაწილეობის წესით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახლრების გამოყენებით აშენებულ სახლებში საცხოვრებელი ფართობი შესასახლებლად ნაწილდება მშენებლობის მონაწილეებს შორის მათ მიერ დადაცემული სახლრების პროპორციულად.

მუხლი 16. საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა

საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 17. სახელმწიფო კონტროლი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი

საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი, უწყება, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი, თანამდებობის პირი და მოქალაქე იცავდეს საცხოვრებელი ფართობის განაწილებისა და მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესს, საბინაო ფონდით სარგებლობისა და მისი ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში ქონების წესებს.

საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი III.
მოქალაქეთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი სადგომებით. საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა

თავი I

საცხოვრებელი სადგომების მიცემა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში და ამ სადგომებით სარგებლობა

მუხლი 18. მოქალაქეთა უფლება საცხოვრებელი სადგომის მიღებაზე

მოქალაქეებს, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, უფლება აქვთ სარგებლობისათვის მიიღონ საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. აღნიშნულ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრებენ მოცემულ დასახლებულ პუნქტში (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით), საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ, როგორც წესი, ოჯახისათვის ცალკე ბინის სახით.

საბინაო პირობების გაუმჯობესების მხრივ გაჭირვებულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს, მოქალაქეებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში აქვთ სახლი, და ამ სახლებში მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფენ საერთო საფუძველზე.

მოქალაქეებს საბინაო პირობების გაუმჯობესების მხრივ გაჭირვებულად ცნობენ იმ საფუძვლებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 19. იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ

იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, ხორციელდება, როგორც წესი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილ შემთხვევებში და წესით მოქალაქეები შეიძლება აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე არა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც.

იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ და მუშაობენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებსაც აქვთ საბინაო ფონდი და საბინაო მშენებლობას ეწევიან ან წილობრივ მონაწილეობას იღებენ საბინაო მშენებლობაში, ხორციელდება სამუშაო ადგილის მიხედვით, მათი სურვილისამებრ კი საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც. მათს თანაბრად ხდება იმ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა, რომლებიც აღარ მუშაობენ ამ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პენსიაზე გასვლის გამო.

იმ მოქალაქეთა აღრიცხვის წესს, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, აგრეთვე მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობის განსაზღვრის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იმ მოქალაქეთა აღრიცხვის მდგომარეობისადმი კონტროლს, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და პროფესიული კავშირების ადგილობრივი კომიტეტები.

მუხლი 20. საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში მიცემა

პირველ რიგში საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ საბინაო პირობების გაუმჯობესების მხრივ გაჭირვებულ:

დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და დაღუპულ ან უგზოოდ დაკარგულ მეომართა (პარტიზანთა) ოჯახებს და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირებს;

საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებს, აგრეთვე სამივე ხარისხის დიდების, შრომითი დიდებისა და „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოსადმი სამსახურისათვის“. ორდენებით დაჯილდოებულ პირებს;

პირებს, რომლებსაც სჭირთ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებულ დაავადებათა ნუსხაში ჩამოთვლილი ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა;

პირებს, რომლებიც სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პერიოდში და სსრ კავშირის დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობაში იყვნენ, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პარტიზანებს, აგრეთვე სსრ კავშირის დაცვის საბრძოლო ოპერაციების მონაწილე სხვა პირებს;

I და II ჯგუფების შრომის ინვალიდებს და I და II ჯგუფების ინვალიდებს სამხედრო მომსახურეთაგან;

სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების, ადამიანის სიცოცხლის ხსნისათვის, სოციალისტური საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის სსრ კავშირის მოქალაქის ვალის მოხდის დროს ან წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულ პირთა ოჯახებს;

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც დიდხანს ქეთილსინდისიერად იმუშავეს წარმოების სფეროში;

დედებს, რომელთაც მიენიჭათ „გმირი დედის“ წოდება, მრავალშვილიან ოჯახებსა და მარტოხელა დედებს;

ოჯახებს ტუუპების გაჩენისას.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით საცხოვრებელი სადგომის პირველ რიგში მიღების უფლება შეიძლება მიეცეთ სხვა კატეგორიების მოქალაქეებსაც.

მუხლი 21. საცხოვრებელი სადგომების რიგგარეშე მიცემა

საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე ეძლევათ მოქალაქეებს, რომელთა ბინა საცხოვრებლად უვარგისი გახდა სტიქიური უბედურების შედეგად, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 22. საცხოვრებელი ფართობის ნორმა

საცხოვრებელი ფართობის ნორმას ადგენს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა ერთ სულზე არანაკლებ ცხრა კვადრატული მეტრის ოდენობით.

საცხოვრებელი ფართობის ნორმის დადგენისას ცალკეულ კატეგორიათა მოქალაქეებს ეძლევათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი ცალკე ოთახის სახით ან ათი კვადრატული მეტრის ოდენობით. პირებს, რომლებსაც ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა სჭირთ, აგრეთვე პირებს, რომლებსაც ეს ფართობი აუცილებლად სჭირდებათ შესასრულებელი სამუშაოს პირობებისა და ხასიათის გამო, დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ოდენობა შეიძლება გაუდიდდეთ.

დამატებითი საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესსა და პირობებს და მისი მიღების უფლების მქონე პირთა ნუსხას ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 23. საცხოვრებელი სადგომებისადმი წაყენებული მოთხოვნები

საცხოვრებელი სადგომი, რომელიც მოქალაქეებს ბინადრობისათვის ეძლევათ, უნდა იყოს კეთილმოწყობილი მოცემულ დასახლებულ პუნქტში კეთილმოწყობის პირობების კვალობაზე, შეესაბამებოდეს დადგენილ სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

საცხოვრებელი სადგომის მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წელიწადზე უნნნესი სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება, მეუღლეთა გარდა.

მუხლი 24. საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი

საცხოვრებელ სადგომებს მოქალაქეებს აძლევენ:

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის სახლებში — სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების ორგანიზაციის ორგანოსა და პროფესიული კავშირის ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით შესასახლებლად საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ შემდგომი შეტყობინებით შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის;

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახლრების გამოყენებით აშენებულ სახლებში საცხოვრებელი ფართობი შესასახლებლად ნაწილდება მშენებლობის მონაწილეებს შორის მათ მიერ დადაცემული სახლრების პროპორციულად.

მუხლი 16. საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა

საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 17. სახელმწიფო კონტროლი საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი

საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი, უწყება, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი, თანამდებობის პირი და მოქალაქე იცავდეს საცხოვრებელი ფართობის განაწილებისა და მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესს, საბინაო ფონდით სარგებლობისა და მისი ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში ქონების წესებს.

საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. მოქალაქეთა უფლება საცხოვრებელი სადგომის მიღებაზე

მოქალაქეებს, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, უფლება აქვთ სარგებლობისათვის მიიღონ საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. აღნიშნულ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრებენ მოცემულ დასახლებულ პუნქტში (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით), საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ, როგორც წესი, ოჯახისათვის ცალკე ბინის სახით.

საბინაო პირობების გაუმჯობესების მხრივ გაჭირვებულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს, მოქალაქეებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში აქვთ სახლი, და ამ სახლებში მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფენ საერთო საფუძველზე.

მოქალაქეებს საბინაო პირობების გაუმჯობესების მხრივ გაჭირვებულად ცნობენ იმ საფუძვლებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 19. იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ

იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, ხორციელდება, როგორც წესი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილ შემთხვევებში და წესით მოქალაქეები შეიძლება აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე არა მათი საცხოვრებელი ადგილის მ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები

(დასასრული)

ეიცვალოს მხოლოდ დამქირავებლის, მისი ოჯახის წევრებისა და გამქირავებლის თანხმობით, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლებით და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს უფლება აქვს ოჯახის წევრთა თანხმობით ნებისმიერ დროს მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში არსებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს გამქირავებლის თანხმობით მხოლოდ კანონით დადგენილ საფუძვლებზე და მხოლოდ სასამართლო წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოსახლება ხდება სახლებიდან, რომელთა ჩამოქცევა მოსალოდნელია.

მუხლი 36. საცხოვრებელი სადგომებიდან გამოსახლება

სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში დაკავებული საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლებით.

გამოსახლება წარმოებს სასამართლო წესით. დაიშვება გამოსახლება ადმინისტრაციული წესით პროკურორის სანქციით მხოლოდ იმ პირებისა, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი ან ცხოვრობენ სახლებში, რომელთა ჩამოქცევა მოსალოდნელია.

საცხოვრებელი სადგომებიდან გამოსახლებულ მოქალაქეებს იმავდროულად ეძლევათ სხვა საცხოვრებელი სადგომი, ან საფუძვლები აღნიშნული შემთხვევების გარდა.

მუხლი 37. გამოსახლება მოქალაქეებისათვის სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლებიდან მოქალაქეებს გამოასახლებენ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის მიცემით, თუ:

სახლი, რომელშიც საცხოვრებელი სადგომი მდებარეობს, დასანგრევია;

სახლს (საცხოვრებელ სადგომს) ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება;

სახლი (საცხოვრებელი სადგომი) არასაცხოვრებლად უნდა გადაკეთდეს.

ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ან თადარიგში დათხოვნილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოფიცრები, პრაპორშჩიკები და მიჩმანები, ზეკადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი და მათთან გათანაბრებული პირნი, აგრეთვე მათთან ერთად მცხოვრები პირნი შეიძლება გამოსახლებულ იქნენ სამხედრო ქალაქებში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომებიდან სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის მიცემით. ასეთივე წესით უნდა გამოსახლდნენ სამხედრო ქალაქებიდან სხვა პირნი, რომლებმაც კავშირი დაკარგეს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებთან.

სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით შეიძლება გამოსახლებულ იქნენ:

მუშები და მოსამსახურენი (მათთან ერთად მცხოვრები პირებითურთ), რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საცხოვრებელი სადგომის მიმცემ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით. ასევე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სიის ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

მოქალაქენი, რომლებმაც საცხოვრებელი სადგომები მიიღეს კოლმეურნეობების სახლებში, თუ ისინი გარიცხული არიან კოლმეურნეობის წევრთა რიგებიდან ან წავიდნენ კოლმეურნეობიდან საკუთარი სურვილისამებრ.

სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით მოქალაქეთა გამოსახლების სხვაგვარი შემთხვევებიც.

მუხლი 38. გამოსახლება მოქალაქეებისათვის სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად

თუ დამქირავებელი, მისი ოჯახის წევრები, ან მასთან ერთად მცხოვრები სხვა პირნი სისტემატურად ანგრევენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს, ან იყენებენ მას არადანიშნულებისამებრ, ანდა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სისტემატური დარღვევით სხვებისათვის შეუძლებელს ხდიან მათთან ერთ ბინაში ან ერთ სახლში იცხოვრონ, ხოლო ამასთან გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებმა ვერ გაჭრა, ბრალეულთა გამოსახლება გამქირავებლის ან სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნით წარმოებს სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად შეიძლება გამოსახლებულ იქნენ აგრეთვე მშობლის უფლებაჩამორთმეული პირნი, თუ მათი ცხოვრება შვილებთან ერთად, რომელთა მიმართაც ჩამოართვეს მათ ეს უფლებები, შეუძლებლად არის ცნობილი.

პირები, რომლებიც ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო გამოსახლებულ უნდა იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად, სასამართლომ შეიძლება დაავალდებულოს გამოსახლების მაგიერ გადაცვალონ სადგომის გაცვლით დაინტერესებული მხარის მიერ მითითებულ სხვა საცხოვრებელ სადგომზე.

პირები, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომი, გამოსახლებულ უნდა იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი სადგომის ორდერს ბათილად ცნობენ ორდერის მიმღებ პირთა არამართლზომიერი მოქმედების შედეგად, ისინი გამოსახლებულ უნდა იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად. თუ ორდერში აღნიშნული მოქალაქენი წინათ სარგებლობდნენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში არსებული საცხოვრებელი სადგომით, მათ უნდა მიეცეთ საცხოვრებელი სადგომი, რომელიც წინათ ეკავათ, ანდა სხვა საცხოვრებელი სადგომი.

თავი II
სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებითა და საერთო საცხოვრებლებით სარგებლობა

მუხლი 39. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები და საერთო საცხოვრებლები

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები განკუთვნილია იმ მოქალაქეთა შესახებისათვის, რომლებიც თავიანთი შრომითი ურთიერთობის ხასიათის გამო მუშაობის ადგილზე ან მის მახლობლად უნდა ცხოვრობდნენ. საცხოვრებელი სადგომი სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების რიცხვში შედის. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სამსახურებრივ საცხოვრებელი სადგომებისათვის გამოიყოფა, როგორც წესი ცალკე ბინები.

იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხას, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები, აგრეთვე ამ სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კოლმეურნეობათა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების შეტანა სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების რიცხვში (მათ შორის იმ სახლებშიც, რომლებშიც ბინადარნი შესახლდნენ ამ საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე) და იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დადგენა, რომელთაც შეიძლება მიეცეთ ასეთი სადგომები, წარმოებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები შეიძლება მიეცეთ ცალკეულ კატეგორიათა სამხედრო მოსამსახურეებს.

მუშათა, მოსამსახურეთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა, აგრეთვე სხვა მოქალაქეთა მუშაობის ან სწავლის პერიოდში ბინადრობიხათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთო საცხოვრებლები. საერთო საცხოვრებლებისათვის გამოიყოფა ამ მიზნით სპეციალურად აშენებული ან გადაკეთებული საცხოვრებელი სახლები. საერთო საცხოვრებლებში საცხოვრებელი ფართობის მიცემის და ამ ფართობით სარგებლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 40. გამოსახლება სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან

მუშები და მოსამსახურენი, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც გაირიცხნენ კოლმეურნეობის წევრთა რიგებიდან ან გავიდნენ კოლმეურნეობიდან საკუთარი სურვილით, ექვემდებარებიან სამსხურებრივი საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლებას მათთან ერთად მცხოვრები ყველა პირითურთ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

ამ შემთხვევაში სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად არ შეიძლება გამოსახლებულ იქნენ: ომის ინვალიდები და სხვა ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც დაინვალიდნენ სსრ კავშირის დაცვისას, ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად; დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებიც მოქმედი არმიის შემადგენლობაში იყვნენ; იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაიღუპნენ ან უგზოუკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვისას, ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას; სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები; სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითთა და უფროსთა შემადგენლობის პირთაგანი ინვალიდები, რომლებიც დაინვალიდნდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად; პირნი, რომლებმაც მათთვის სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიმცემ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმუშავეს სულ ცოტა ათ წელიწადს; იმ თანამდებობიდან განთავისუფლებული პირნი, რომელთან დაკავშირებითაც მათ მიეცათ საცხოვრებელი სადგომი, მაგრამ არ შეუწყვეტიათ შრომითი ურთიერთობა ამ სადგომის მიმცემ საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან; საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, ანდა მუშაკთა რიცხვისა თუ შტატის შემცირების გამო დათხოვნილი პირნი; მოხუცებულობის გამო პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები; იმ გარდაცვლილი მუშაკის ოჯახის წევრები, რომელსაც მიეცემული ჰქონდა სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი; I და II ჯგუფის შრომის ინვალიდები და I და II ჯგუფის ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთაგან; მარტოხელა პირნი მათთან ერთად მცხოვრები არასრულწლოვანი ბავშვებითურთ.

მუხლი 41. საერთო საცხოვრებლებიდან გამოსახლება

სეზონური, დროებითი მუშაკები და ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირნი, რომლებმაც მუშაობა შეწყვიტეს, აგრეთვე პირნი, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ და იქიდან წავიდნენ, ექვემდებარებიან გამოსახლებას სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად საერთო საცხოვრებლიდან, სადაც მათ ადგილი მიეცათ მუშაობის ან სწავლის გამო.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სხვა მუშაკები, რომლებსაც მუშაობის გამო ადგილი მიეცათ საერთო საცხოვრებელში, შეიძლება გამოსახლებულ იქნენ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოდან დაითხოვეს საკუთარი სურვილისამებრ არასაპატიო მიზეზით, შრომის დისციპლინის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის. ის პირნი, რომლებიც მუშაობას შეწყვეტენ სხვა საფუძვლების გამო, აგრეთვე ამ საფუძვლების მე-40 მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი პირნი შეიძლება გამოსახლებულ იქნენ მხოლოდ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით.

თავი III
მოქალაქეთა საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში და ამ სადგომებით სარგებლობა

მუხლი 42. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიღების უფლება

მოქალაქეებს, რომლებსაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, უფლება აქვთ გახდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები და მიიღონ ამ კოოპერატივში ბინა.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრობის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვის წესს, აგრეთვე კოოპერატივის წევრებად მოქალაქეთა მიღების პირობებს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სანიმუშო წესდებებს ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ კონტროლს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობისადმი, მათი კუთვნილი სახლების ექსპლოატაციისა და რემონტისადმი. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გააუქმოს კოოპერატივის საერთო კრების ან გამგეობის გადაწყვეტილება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

სახელმწიფო დახმარებას უწევს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს მათი კუთვნილი სახლების ექსპლოატაციასა და რემონტში, აგრეთვე საცხოვრებელი სადგომებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უზრუნველყოფაში კაპიტალური რემონტის დროისათვის, როცა რემონტი ვერ ჩატარდება ამ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა გამოუსახლებლად.

თუ საბინაო-სამშენებლო კოპერატივის კუთვნილი სახლი უნდა დაინგრეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით, კოოპერატივს დასანგრევი სახლის ნაცვლად ეძლევა საკუთრებაში ტოლფასოვანი საცხოვრებელი სახლი.

მუხლი 43. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისათვის საცხოვრებელი სადგომის მიცემა და ამ სადგომით სარგებლობა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად მიღებულ პირს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ეძლევა ერთ ან რამდენიმე ოთახიანი ცალკე ბინა ოჯახის წევრთა რაოდენობის, მისი სპეციალური შენატანის თანხისა და საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ოდენობის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინებში ჩასახლება წარმოებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული ორდერების საფუძველზე. ორდერის მიცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოს წესით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისა და მისი ოჯახის წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს, საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის პირობებს და სარგებლობის შეწყვეტის საფუძვლებს განსაზღვრავს კოოპერატივის წესდება.

თავი IV
ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლებში არსებული საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა

მუხლი 44. პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილი საცხოვრებელი სახლით სარგებლობა

მოქალაქენი, რომლებსაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი), ამ სახლით სარგებლობენ პირადი ბინადრობისა და თავიანთი ოჯახების წევრთა ბინადრობისათვის. მათ უფლება აქვთ შეასახლონ სახლში სხვა მოქალაქენი, აგრეთვე გაანიავონ იგი ამ პირობებითა და წესით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მოქალაქენი, რომლებსაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლი, მოვალენი არიან უზრუნველყონ მისი დაცვა-შენახვა, თავიანთი ხარჯით აწარმოონ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, იქონონ წესიერი მდგომარეობაში სახლისპირა ტერიტორია.

მოქალაქეებს, რომლებსაც პირად საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლები, სახელმწიფო ხელს უწყობს მათს რემონტსა და კეთილმოწყობაში. მოქალაქეთა კუთვნილი სახლების რემონტი მათი სურვილისამებრ შეიძლება აწარმოონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებმა.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ კონტროლს მოქალაქეთა კუთვნილი სახლების მოვლა-პატრონობისადმი.

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები არ შეიძლება მათ ჩამოერთვათ, მესაკუთრეს არ შეიძლება ჩამოერთვას საცხოვრებელი სახლით სარგებლობის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 45. იმ მოქალაქეთა საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფა, რომლებსაც სახლები უნდა დაუნგრიონ მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის გამო

იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები უნდა დაინგრეს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით, ამ მოქალაქეებს, მათი ოჯახების წევრებს, აგრეთვე ამ სახლებში მუდმივად მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს დადგენილი ნორმების მიხედვით ეძლევათ ბინები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს მათი არჩევანისამებრ ან უფასოდ ეძლევათ დასანგრევი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის ღირებულება, ანდა ეძლევათ უფლება გამოიყენონ თავიანთი შეხედულებისამებრ ამ სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის დაშლის შედეგად დარჩენილი მასალა. მოქალაქეთა სურვილისამებრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ მათ (ბინის მიცემის ნაცვლად) იმ შესაძლებლობით რომ რიგგარეშე შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებად და მიიღონ ამ კოოპერატივებში ბინები.

მოქალაქეთა სურვილისამებრ მათი კუთვნილი დასანგრევი საცხოვრებელი სახლები და ნაგებობანი შეიძლება გადატანილ და აღდგენილ იქნეს ახალ ადგილზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევებში მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სახლები უნდა დაუნგრიონ, მათი სურვილისამებრ ახალ ადგილზე შენდება საცხოვრებელი სახლები. ნაგებობები და მოწყობილობა და გადაეცემა ამ მოქალაქეებს პირად საკუთრებაში. ამასთან დანგრეული საცხოვრებელი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის ღირებულება მათ არ უნაზღაურდებათ.

ბინების მიცემის წესს, დასანგრევი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის ღირებულების ოდენობას, ანაზღაურების წესს და მათი გადატანის პირობებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

კარი V.
პასუხისმგებლობა საბინაო კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 51. პასუხისმგებლობა საბინაო ფონდის არასათანადო გამოყენებისა და საბინაო კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის

პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით:

საბინაო პირობების გაუმჯობესების მხრივ გაჭირვებულ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის, აღრიცხვიდან მოხსნისა და მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დარღვევაში;

საცხოვრებელ სახლებსა და საცხოვრებელ სადგომებში ჩასახლების დადგენილი ვადების დარღვევაში;

საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის წესების, საერთო სარგებლობის ადგილების, საკიბურების, ლიფტების, სადარბაზოების, სახლისპირა ტერიტორიების სანიტარიული მოვლა-პატრონობის წესების დარღვევაში;

საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სადგომების თვითნებურ გადაკეთებსა და ხელახალ დაგეგმარებაში და მათს არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში;

საცხოვრებელი სახლების, საცხოვრებელი სადგომების და საინჟინრო მოწყობილობის ექსპლოატაციის წესების დარღვევასა და მათს დაუდევარ მოვლა-პატრონობაში;

საცხოვრებელი სახლების, საცხოვრებელი სადგომების, მათი მოწყობილობისა და კეთილმოწყობის ობიექტების გაფუჭებაში, ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული თუ სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს პასუხისმგებლობა საბინაო კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვისაც.

მუხლი 52. საბინაო ფონდისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც ზიანს მიაყენებენ საცხოვრებელ სახლებს, საცხოვრებელ სადგომებს, საინჟინრო მოწყობილობას, კეთილმოწყობის ობიექტებს და მწვანე ნარგავებს სახლების მიმდებარე ნაკვეთებში, ვალდებული არიან აანაზღაურონ მიყენებული ზარალი.

თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს, რომელთა მიზეზითაც საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა გაიღეს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

კარი VI.
საბინაო დავის გადაწყვეტა

მუხლი 53. საბინაო დავის გადაწყვეტის წესი

საბინაო დავას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტენ სასამართლო, არბიტრაჟი, სამედიატორო და ამხანაგური სასამართლოები, აგრეთვე საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოები.

კარი VII.
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 54. საზღვარგარეთ გაგზავნილ მოქალაქეთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი სადგომებით

მოქალაქეებს, რომლებიც სამუშაოდ იგზავნებიან საზღვარგარეთ, ყოფნის ადგილას უზრუნველყოფენ საცხოვრებელი სადგომებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

მუხლი 55. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

თუ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია იმ წესებისაგან განსხვავებული წესები, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა საბინაო კანონმდებლობა, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

ასეთივე წესი გამოიყენება მოკავშირე რესპუბლიკის საბინაო კანონმდებლობის მიმართაც, თუ მოკავშირე რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია იმ წესებისაგან განსხვავებული წესები, რომლებსაც ითვალისწინებს ამ მოკავშირე რესპუბლიკის საბინაო კანონმდებლობა.

** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
ლ. ბრეჟნევი.
** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 24 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები 1982 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დიუმს დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედო შემოღების წესი და შეუსაბამოს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები ამ საფუძვლებს.

მუხლი 3. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი. კრემლი. 1981 წლის 24 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

დეპუტატ ტ. ი. კისელიოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ტიხონ იაკობის ძე **კისელიოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 23 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ამხ. ი. ვ. არხიპოვის დანიშვნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 27 ოქტომბრის გრძანებულება ამხ. ივანე ვასილის ძე **არხიპოვის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 24 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი:

1980 წლის 24 ოქტომბრისა — პენსიაზე გასვლის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. მიხეილ ავქსენტის ძე **ლესეჩკოს** განთავისუფლების შესახებ;

1980 წლის 24 ოქტომბრისა — ამხ. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე **ტალონინის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1980 წლის 9 ნოემბრისა — ამხ. ლეონიდ არკადის ძე **კოსტანდოვის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ

1980 წლის 19 დეკემბრისა — „სსრ კავშირის ხალხთა სახალხო კონტროლის კომიტეტის“ ... **ბოდიულის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 24 ივნისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნისა და შექმნის და „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ სსრ კავშირის კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი:

1980 წლის 30 ოქტომბრისა — „სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრისა და სსრ კავშირის ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს ერთ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ — სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1980 წლის 5 ნოემბრისა — სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ორ სამინისტროდ — სსრ კავშირი ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროდ გაყოფის შესახებ“;

1980 წლის 19 დეკემბრისა — „სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

2. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ სსრ კავშირის 1978 წლის 5 ივლისის კანონში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1978 წ., № 28, გვ. 436; 1979 წ., № 49, გვ. 850) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1) „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 132-ე მუხლში დ



მშრომელთა მეგობარი, ქომაგი და იმედი

საქართველოს საბჭოთა მილიცია თავის იუბილეს ღირსსახსოვარ დროს აღნიშნავს. ეს არის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წელი. ჩვენს დღესასწაულს განსაკუთრებული შინაარსით ავსებს საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის დაუვიწყარი დღეები. განვლილმა რამდენიმე კვირამ კიდევ უფრო გამოკვეთა ამ დღესასწაულის სიდიადე, რომელიც გადაიქცა საბჭოთა ხალხების ურღვევი ლენინური მეგობრობის, შმობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მათი მონოლითური შეკავშირების თავადარ დემონსტრაციად.

საიუბილეო ზეიმს განსაკუთრებული ხასიათი მიანიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ. საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, საქართველოს სს რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრის დროს გამოთქმულ შენიშვნებსა და რჩევა-დარიგებებში ჩამოყალიბებულია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოქმედების ლენინურად ზუსტი პროგრამა, განსაზღვრულია ჩვენი წინსვლის სტრატეგიული მაგისტრალები.

„საქართველოში საქმე კარგად მიდის“ — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სწორედ ეს სიტყვები აღაფრთოვანებს რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებსაც მეთერთმეტე ხუთწლედის ახალი წარმატებებისათვის.

საბჭოთა მილიციამ განვლო საშშობლოს, ხალხის, ოქტომბრის საქმისადმი სამსახურის სახელოვანი გზა. მისი ისტორია საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სახელოვანი ისტორიის ნაწილია. მილიციის თანამშრომლები მუდამ ვაჟკაცურად და მედგრად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. გუშინდელი მუშები და გლეხები, ჯარისკაცები და მატროსები თავდადებით იბრძოდნენ მშრომელი ხალხის საქმისათვის.

ძნელი იყო საქართველოს საბჭოთა მილიციის ჩამოყალიბების პირველი წლები. მენშევიკების ბატონობამ რესპუბლიკაში მთლიანად მოშალა ეკონომიკა. მდგომარეობას ართულებდა კლასობრივი მტრების ნაშთების „კონტრრევოლუციური, ბანდიტური გამოხდომები. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ს. გეგეჭკორი და სხვები ქმნიდნენ და განამტკიცებდნენ საბჭოთა საქართველოს მუშურ-გლეხურ მილიციას.

1921 წლის 20 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით რესპუბლიკის რევკომმა მიიღო დეკრეტი „მუშურ-გლეხური მილიციის შესახებ“. მას ენიჭებოდა მნიშვნელობა „განსაკუთრებული დანიშნულების შეიარაღებული ქვეგანაყოფისა, აქედან გამომდინარე უფლებებითა და მოვალეობებით“.

საქართველოს მილიცია მთელ საბჭოთა მილიციასთან ერთად ღირსეულად, ასრულებდა თავის საპატიო და პასუხსაგებ მოვალეობას აღდგენითს პერიოდში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დროს. იგი მონაწილეობდა შრომითს ფრონტზე, იდგა საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე, იცავდა სახალხო დოვლათს.

დიდი სამამულო ომის დროს ძირბციის მუშაკებმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. ასობით მათგანი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ბევრი იბრძოდა ლეგენდარული მე-18 სადესანტო არმიის რიგებში, რომლის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს მილიციის 800 მუშაკი დაჯილდოვდა სბრძოლო ორდენებითა და მედლებით. საქართველოს მილიციის აღზრდილებს გ. რაზმაძეს, გ. შაბანოვს, ვ. ესებუას მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, ხოლო მ. ჯაფარიძე გახდა დიდების ორდენის სრული კავალერი.

საბჭოთა მილიციის სახელოვანი ტრადიციები, კლასობრივი ომის ქარ-ცეცხლში რომ იშვა და დიდი სამამულო ომის ბრძოლებში გამოიწრთო, ვითარდებოდა ომისშემდგომ პერიოდშიც. ამ ტრადიციებით იზრდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა ახლანდელი თაობა.

მილიციის სამსახური ფათერაკებით არის აღსავსე. ტყუილად როდი გვიწოდებენ ჯარისკაცებს, რომლებიც ვმოქმედებთ სოციალისტური მართლწესრიგისათვის ბრძოლის ყველაზე მოწინავე ხაზზე. ამ ბრძოლაში მსხვერპლიც არის. დღეს ჩვენს რიგებში აღარ არიან ახალგაზრდა მუშაკები — სერჟანტი ვ. კარიაული, ლეიტენანტები ა. ბურდული და ა. რზგოევი, უფროსი ლეიტენანტი გ. გიორგაძე და სხვები. ისინი ბანდიტებთან ორთაბრძოლაში დაიღუპნენ. ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სიკვდილის შემდეგ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა მილიციის ლეიტენანტი ელგუჯა ჭეიშვილი, წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. იგი ბოროტმოქმედის ტყვიამ განგმირა.

დაღუპულთა ადგილს იკავებენ ამხანაგები, მეგობრები, ხშირად კი ყველაზე ახლობელი ადამიანებიც. 1949 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გმირულად დაიღუპა ლეიტენანტი ალექსი თუთბა. მწყობრში მისი ადგილი დაიკავა მილიციის ლეიტენანტმა ვალერი თუთბამ. მამის დაღუპვიდან 20 წლის შემდეგ იგი ვაჟკაცურად შეეწირა ბოროტმოქმედის დაკავებას. დღეს მამისა და ძმის ტრადიციებს განაგრძობს დიანა თუთბა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

პასუხსაგები და მრავალფეროვანი ამოცანები აქვს დასახული საბჭოთა მილიციას თანამედროფე ეტაპზე. იგი იცავს საზოგადოებრივ მართლწესრიგს, დგას სოციალისტური საკუთრების — ჩვენი წყობილების ეკონომიკური საფუძვლების სადარაჯოზე, თანამიმდევრულად იბრძვის სამართალდარღვევების წინააღმდეგ, იცავს სსრ კავშირის კონსტიტუციით დამკვიდრებულ საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და ინტერესებს. ვამაყობთ იმით, რომ რესპუბლიკის მიღწევებში, ქართველი ხალხის საერთო ბრძოლაში ჩვენი, მილიციის მუშაკების შრომის ნაწილიცაა.

პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოთა მილიციის საქმიანობის ძირითადი საფუძველი, მისი ძალების წყაროა. საქართველოს საბჭოთა მილიციის მუშაკები დღენიადაგ გრძნობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურადღებასა და მზრუნველ მომთხოვნელობას. პარტია არა მარტო გვაყენებს მართლწესრიგის დაცვის ფუძემდებელ ამოცანებს და გვისახავს მათი გადაწყვეტის გზებს, არამედ მუდმივ კონტროლსაც უწევს მილიციის მუშაობას, გვეხმარება კვალიფიციური კადრებით მის განმტკიცებაში. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიულმა ორგანოებმა ჩვენს რიგებში გამოგზავნეს ასობით ახალი თანამშრომელი, რომლებმაც პარტიული, კომკავშირული მუშაობის სკოლა გაიარეს.

მტკიცედ ვიცავთ იმ პრინციპს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ვაკომპლექტებდეთ შრომითი კოლექტივების მომართვებითა და პარტიის ან კომკავშირის რაიკომების რეკომენდაციებით. ეს ადამიანები, ჩვენ ვფიქრობთ, ბევრ ადგილას ამ ორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან ურთიერთმოქმედების განმტკიცებით. და როგორც ამის შედეგი, წელს, ისევე როგორც შარშან, შესამჩნევად გაუმჯობესდა ოპერატიული ვითარება, მიღწეულია სისხლის სამართლის დანაშაულობათა შემცირება, გაიზარდა დანაშაულობათა გახსნა.

ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობა გაუმჯობესეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოების, ზესტაფონის, ხაშურის, ახმეტისა და შინაგან საქმეთა სხვა რაიონული განყოფილებების კოლექტივებმა.

პროფილაქტიკური მუშაობა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი, გენერალური ხაზია. ამ დებულებას საფუძვლად უდევს თვით სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების ხასიათი. მილიციისა და სხვა ორგანიზაციების მთელი მეცადინეობა მიზნად ისახავს მოქალაქეთა აღზრდას, იმას, რომ თავიდან აიცილონ მათ სამართალდარღვევები.

აი, რატომ არის, რომ ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში საღამოობით მილიციის მუშაკებთან ერთად გამოდის რაზმელთა მრავალთასიანი არმია. აქტიურად მოქმედებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომისიები, საწარმოთა პროფილაქტიკის საბჭოები, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი საგუშაგოები, ამხანაგური სასამართლოები, არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციები. ამატომ საქართველოს საბჭოთა მილიციის იუბილე სამართლიანად ითვლება აგრეთვე ჩვენი ნებაყოფლობითი თანაშემწეების, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის დღესასწაულად.

ჩვენი დრო გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს შინაგან საქმეთა ორგანოებს, მილიციის მუშაკებს. ისინი უწინარეს ყოვლისა უნდა იყვნენ იდეური ადამიანები, ახასიათებდეთ მაღალი მორალური თვისებები, ჰქონდეთ ფართო პროფესიული კულტურა. ისინი მოწოდებული არიან იყვნენ არა მარტო საუკეთესო სპეციალისტები, არამედ პედაგოგებიც, აღზრდელებიც, გრძნობდნენ ქვეყნის სოციალურ მიჯისცემას.

ჩვენს პარტიულ მოვალეობად მიგვაჩნია ყურადღებით მოვუსმინოთ ხალხის ხმას, შევისწავლოთ და გავაანალიზოთ საზოგადოებრივი აზრი მილიციის მუშაობის შესახებ. პრაქტიკაში ფართოდ დავნერგეთ „ღია კარის დღეები“, როცა ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს მიმართოს სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს. შემოვიღეთ მშრომელთა მიღება საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით.

საზოგადოებრიობასთან ასეთი კონტაქტები საშუალებას გვაძლევს მოსახლეობას უკეთ გავაცნოთ შინაგან საქმეთა ორგანიზაციების საქმიანობა, შევიფასოთ ორგანოების, ქვეგანაყოფების, სამსახურებისა და მთლიანად სამინისტროს მუშაობა, სხვადასხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა. სწორედ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით შარშან მაისში მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

მოსახლეობასთან, საზოგადოებრიობასთან კავშირის განმტკიცება თვალნათლივ ადასტურებს, რომ მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების რთული პრობლემის წარმატებით გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მშრომელებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედების, ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის საფუძველზე.

სკკპ XXVI ყრილობაზე პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოითხოვა, რომ ჩვენი მუშაობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, რომ ყოველი დანაშაული ჯეროვნად გამოძიონ და დანაშაულებმა დამსახურებული სასჯელი მიიღონ. „ამ საქმეში, — განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს სავსებით დაუჭერს მხარს პარტია და, ეჭვი არ მეპარება, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა“.

ჩვენ თვითდამშვიდების საფუძველი არა გვაქვს. კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ სამართალდარღვევებთან ბრძოლის შემაფერხებელ აქტივიზაციისათვის. და წარმატების ძირითადი საწინდარია განუხრელად განვახორციელოთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

(საქინფორმი).

ხალხთან ერთად, ხალხისათვის

გ. გვეტაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი

მენდაციებით. მშრომელები თვითონ ქმნიან მილიციას, რომელიც იცავს მათ ინტერესებსა და უფლებებს, უზრუნველყოფს უმიროსობას.

საქართველოს საბჭოთა მილიციის რიგებში ახლა წარმატებით შრომობენ იურისტები და ეკონომისტები, ფიზიკოსები და მათემატიკოსები, ბიოლოგები და პედაგოგები, ფსიქოლოგები და ინჟინრები. ჩვენ შეიარაღებული ვართ უახლესი ტექნიკით, ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით და სარადარო ხელსაწყოებითაც კი.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ქვეგანაყოფების პირადი შემადგენლობა დიდი პასუხისმგებლობით ახორციელებს „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნებს, უპასუხებს მას ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობით, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან, საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან ურთიერთმოქმედების განმტკიცებით. და როგორც ამის შედეგი, წელს, ისევე როგორც შარშან, შესამჩნევად გაუმჯობესდა ოპერატიული ვითარება, მიღწეულია სისხლის სამართლის დანაშაულობათა შემცირება, გაიზარდა დანაშაულობათა გახსნა.

ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობა გაუმჯობესეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოების, ზესტაფონის, ხაშურის, ახმეტისა და შინაგან საქმეთა სხვა რაიონული განყოფილებების კოლექტივებმა.

პროფილაქტიკური მუშაობა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა. სწორედ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით შარშან მაისში მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

მოსახლეობასთან, საზოგადოებრიობასთან კავშირის განმტკიცება თვალნათლივ ადასტურებს, რომ მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების რთული პრობლემის წარმატებით გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მშრომელებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედების, ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის საფუძველზე.

სკკპ XXVI ყრილობაზე პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოითხოვა, რომ ჩვენი მუშაობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, რომ ყოველი დანაშაული ჯეროვნად გამოძიონ და დანაშაულებმა დამსახურებული სასჯელი მიიღონ. „ამ საქმეში, — განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს სავსებით დაუჭერს მხარს პარტია და, ეჭვი არ მეპარება, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა“.

ჩვენ თვითდამშვიდების საფუძველი არა გვაქვს. კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ სამართალდარღვევებთან ბრძოლის შემაფერხებელ აქტივიზაციისათვის. და წარმატების ძირითადი საწინდარია განუხრელად განვახორციელოთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს შინაგან საქმეთა სამმართველოს ორკესტრისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ორკესტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშრომელთა პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და საბჭოთა საქართველოს მილიციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს შინაგან საქმეთა სამმართველოს ორკესტრს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ორკესტრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 24 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საბჭოთა საქართველოს მილიციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის მილიციის მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

მილიციის თანამშრომელ თ ა ჯგუფს მიენიჭა საპატიო წოდებები: „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“, „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ ფიზიკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“ და „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“.

(საქინფორმი).

ჯროშა—იუბილეს დღეს

ქუთაისის ოპერის თეატრში გაიმართა საქართველოს საბჭოთა მილიციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. იგი დამთხვა კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კოლექტივს გასული წლის მუშაობის შედეგების მიხედვით გადაეცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

გამარჯვებულთ დროშა გადასცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შ. გორგოძემ. (საქინფორმი).

დღე და ღამე ფხიზლად დგანან საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის საკუთრების სადარაჯოზე მილიციის მუშაკები, 24 საათის განმავლობაში არ წყდება მუშაობა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამორიგეოში.

როგორც კი ოპერატიულ პულტზე საგანგაშო შეტყობინებას მიიღებენ, მაშინვე მზად არიან შემთხვევის ადგილზე გასამგზავრებლად საგამოძიებო განყოფილებისა და პროკურატურის მუშაკები, სასამართლო-სამედიცინო და ტექნიკური ექსპერტები...

სურათებზე: მარცხნივ — 02 პულტის ოპერატორი რიგითი მილიციელი თ. კოზლოვა. მარჯვნივ — ოპერატიული ჯგუფი შეიმგზავრება შემთხვევის ადგილზე. მარცხნიდან — ექსპერტი, უფროსი ლეიტენანტი ე. გეზაძე, სამმართველოს უფროსი კაპიტანი ვ. ქარქუსაშვილი, ინსპექტორები — უფროსი ლეიტენანტი რ. ჭანტურია და ლეიტენანტი კ. კალანდაძე.

ს. კილაძის ტექსტი და ფოტო.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად დიდი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება საბჭოთა მილიციას, ითქვა სკკპ XXVI ყრილობაზე.

დიდია მისი როლი მართლწესრიგის განმტკიცებასა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ქართული მილიციის მესამოცე წლისთავის საზეიმო დღეებში ჩვენი კორესპონდენტები შეხვდნენ მილიციის მოწინავე მუშაკებს, ესაუბრნენ იმაზე, თუ როგორი წარმატებებით ეგებებიან დღესასწაულს და მუშაობის რა პერსპექტივები აქვთ მომავალში. ქვემოთ ვაქვეყნებთ მასალებს მათ შესახებ.

სიტყვა მათზე, ვინც წინა ხაზზეა

თუ ალღომ

გიკარნახა

შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობა, ხალხის სამსახური, ერთგულება, დღეს ბევრი ახალგაზრდის ნამდვილ მოწოდებად იქცა, თავის დროზე ასეთთა რიგებს მიეკუთვნებოდა ახლა უკვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამოძიებელი მაიორი გ. ქარქაშაძე.

—თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, — ამბობს გურამი, — დრო არ დამაკარგავს, შრომითი საქმიანობა პირველი მაისის შინაგან საქმეთა განყოფილებაში დავიწყე, შემდეგ ქალაქის სამმართველოში და ბოლოს სამინისტროში განვაგრძე.

მრავალპიზოდიან საქმეში გარკვევა დროსაც ბევრს მოითხოვს და ცოდნასაც, ალღოსაც და თანამიმდევრობასაც. ამ თვისებებს არასოდეს არ კარგავს გ. ქარქაშაძე და საბოლოო მიზანსაც აღწევს, მიზანში კი იგი გულისხმობს ბოროტმოქმედების დადგენას, ხალხის სამსახურს. გარდა პროფესიული ალღისა, კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ექსპერტიზის გამოყენებისა დანაშაულის აღსაკვეთად მას მასებთან კონტაქტი მიაჩნია.

გაიტაცა

იგი საქართველოს ალკა ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ენერგიული და სპეტაკი მუშაკი იყო. და აი ერთ მშვენიერ დღეს თეიმურაზ მეგავნაძე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის რეკომენდაციით ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს განყოფილების პოლიტალმზრდელობითი ჯგუფის უფროს ინსპექტორად დანიშნეს. საქმემ გაიტაცა და გადაწყვიტა იქვე დარჩენილიყო, შემდეგ დაამთავრა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია და ახლა განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშობს. როდესაც იგი სისხლის სამართლის სამმართველოს განყოფილების მუშაობას დაწვრილებით გაცნობთ, არ შეიძლება არ შეამჩნიოთ პროფესიით გატაცებ ა, საქმის სიყვარული, ჩეკისტური გაჭრიახობა.

დანაშაული რომ არ მოხდეს ან დროულად აღიკვეთოს, უპირველესად საჭიროა პროფილაქტიკა, ურომლისოდაც ფონს ვერ გავალთ. თუ დანაშაულს წარმომქმნელი მიზეზების არსს ჩავწვდით, ჭეშმარიტების დადგენაც არ გაგვიძნელდება. მთავარია უკომპრომისო ბრძოლა ისეთ დანაშაულობებთან, როგორიც არის ნარკომანობა, მძარცველობა, ქურდობა, მუქთახორობა. ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს აღრე ნასამართლევ პირებთან და ძნელად აღსაზრდელ ახალგაზრდობასთან მუშაობას. თ. მეგავნაძემ ერთი კარგი ცნობაც მოგვაწოდა: შარშან არასრულწლოვანთა დანაშაულმა საგრძნობლად იკლო, წლეულს კი კიდევ უკეთესი მდგომარეობა გვაქვსო.

მუშაობის გამოცოცხლებას აჭარაში დიდად შეუწყო ხელი პროფილაქტიკის მუშაკთა ერთწლიანი კურსების ჩამოყალიბებამ, კვალიფიკაციის ამაღლებამ.

— მართალია, სიძნელეებს საკმაოდ ვაწყდებით, ამბობს თ. მეგავნაძე, განსაკუთრებით საკუთრო სეზონში, მაგრამ ვძლევთ და გვჯერა, რომ დანაშაული მომავალში კიდევ უფრო შემცირდება.

ავარია რომ

არ მოხდეს

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ერთად ჩვენში თვალსაჩინოდ გაიზარდა ავტოტრანსპორტის როლი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და სახალხო მეურნეობაში. გავიხსენოთ თუნდაც ზუთიოდე წლის წინანდელი ქალაქები და რაიონები, სოფლები და დაბები თავიანთი ავტომეურნეობებით, კერძო მფლობელობის მანქანებით, და შევადაროთ დღევანდელს. სხვაობა, მართლაც რომ, დიდია. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ არის მოწესრიგებული ავტოსატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოება. აქაც, როგორც ბევრგან, გვიცავს ჩვენი მილიცია.

ვესაუბრეთ საგარეჯოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროს ინსპექტორს, ლეიტენანტ ო. ღვინაშვილს. იგი აქ პარტიის რაიონული კომიტეტის რეკომენდაციით მოვიდა და მოკლე ხანში ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ო. ღვინაშვილი მილიციის ფრიადოსანია, მიღებული აქვს არაერთი მადლობა, ჯილდო. მის უბანსა და ტრასებზე ნაკლებად ირღვევა მოძრაობის წესები, ავტოინსპექტორთა შორის აქ კეთილსინდისიერი შრომით და საქმის ცოდნით გამოირჩევა გ. ოქრომეფდლიშვილი.

პროფილაქტიკურ ღონისძიებებს საგზაო-სატრანსპორტო სამსახურშიც არსებითი მნიშვნელობა აქვს, ხშირად ეწყობა ავტოფარეხების დათვალიერება, მანქანების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება, განსაკუთრებით ადევნებენ თვალს იმას, თუ როგორ მდგომარეობაში მართავენ მძღოლები საჭეს.

მართალია, არის გარკვეული წარმატებები საგზაო-საპატრულო სამსახურის ყოველდღიურ მუშაობაში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საქმე სასურველ დონეზე დგას. ო. ღვინაშვილი თავის ინსპექტორებთან ერთად გვპირდება, რომ ნაკლოვანებებს უახლოეს ხანში აღმოფხვრიან.

მთავარია

პროფილაქტიკა

გივი ვარდოსანიძე, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სამძებრო განყოფილების უფროსობა მიანდვეს, რასაც პირნათლად უძღვება. ბოლო სამი წელია პარტიის რაიკომთან შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მუდმივმოქმედი შტაბი. წელიწადში 3-4 ჯერ ეწყობა პარტიულ-კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, საყრდენი პუნქტების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი რაზმეულების კომპლექსური ღონისძიებები, რეიდები. ავლენენ და სამუშაოზე აწყობენ უმუშევრებს, აღრიცხავენ და საჭიროების შემთხვევაში ართმევენ ცეცხლსასროლ იარაღს, ადგილებზე სწავლობენ და აგვარებენ კონფლიქტურ სიტუაციებს. ამოწმებენ საპასპორტო რეჟიმის მდგომარეობას.

გაწეული მუშაობის შედეგები ცხადყოფს, რომ მომდინარე წელს რაიონში მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულობანი.

გ. ვარდოსანიძის აზრით ზემოაღნიშნული პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად დანაშაულობათა შემცირება განაპირობა კანონის გამკაცრებამ, ქურდობისათვის სასჯელის ვადის გაზრდამ.

ამას გარდა, რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მოვიდნენ ახალი მუშაკები, გაიზარდა პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, ამაღლდა მილიციის ავტორიტეტი, საზოგადოება მეტი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობა მას.



ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის დიდი თეატრის სცენაზე დამთავრდა ბალეტის მსახიობთა IV საერთაშორისო კონკურსი, რომელმაც თავი მოიყარა ქორეოგრაფიული ხელოვნების მრავალ ახალგაზრდა ნიჭიერ წარმომადგენელს. ზემო სურათზე თქვენ ხედავთ ნინო ანანიაშვილს, რომელმაც კონკურსზე სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პრიზი დაიმსახურა, როგორც უმცროსი ჯგუფის მსახიობთა შორის საუკეთესომ.

დღეს თბილისში ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში ერთთვიან გასტროლებს იწყებს ბაკოს სამედ ვორლუნის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი. სურათზე (შუაში): აზერბაიჯანელ მსახიობებთან შეხვედრა თბილისის ვაგზალზე.

მოსკოვის საქართველოს დღეებში ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა მხატვარულმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. ქვემო სურათზე აღბეჭდილია სახელმწიფო ანსამბლ „რუსთაველი“ ვოკალური ჯგუფის გამოსვლა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

საქინფორმის ფოტო.

ფაქტის კომენტარი

„დუმილის წუთი“... განსვენებულთა ხსოვნის ამ დიდებული ცერემონიალის იდეა, რატომღაც მჯერა, არ შეიძლებოდა ერთ კაცს მოსვლოდა აზრად. იგი იმდენად ამაღელვებელი და შთამბეჭდავია, რომ ღირსეული ადამიანის დაკარგვის გამო საყოველთაო სინანულის დუმილით გამოხატავ მის პირვანდელობაში, ალბათ, სტიქიური, ქვეცნობიერი წარმოშობისა უნდა იყოს. ეს, ალბათ, შემდეგ დახვენეს ადამიანებმა, ცერემონიალის სახე მისცეს და ის დუმილი მეტყველზე მეტყველი გახადეს!

გუშინწინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სამოცი ათასი კაცი ფეხზე ამდგარი გაირინდა სახელოვანი სპორტსმენისა და მოქალაქის მიხეილ ბერძენიშვილის ხსოვნის პატივსაცემად. თვალის დახამხამებაში მოედანი ქანდაკებების ანსამბლად იქცა —ადგილზე გაქვავდნენ ფეხბურთელები, მსაჯები. იმ წუთის განცდა და ჟრუანტელი უკანასკნელი პატივი იყო აწ განსვენებულისადმი, სიცოცხლეში რომ ქართული ფეხბურთი დაამშვენა, ფეხბურთელების შემდგომ თაობებს თავისი საკ